

საკონკურსო განცხადება

1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო აცხადებს კონკურსს, ქ. გორში, მოსკოვის ქუჩაზე არსებული 8 971.0 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი (საკადასტრო კოდი N 66.45.27.120) - დევნილთა გრძელვადიანი განსახლების ობიექტი), განაშენიანების გენერალური გეგმის და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მიწოდების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და კონკურსში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.

2. ელექტრონული კონკურსის მიზანი:

2.1. ქ. გორში, მოსკოვის ქუჩაზე არსებული 8 971.0 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი (საკადასტრო კოდი N 66.45.27.120) - დევნილთა გრძელვადიანი განსახლების ობიექტი), განაშენიანების გენერალური გეგმის და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მიწოდების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა;

2.1.1. კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს წინამდებარე საკონკურსო დოკუმენტაციის 2.1. პუნქტით განსაზღვრულ 8 971.0 მ² ტერიტორიის მიწის ნაკვეთის განაშენიანების გენერალური გეგმის არქიტექტურული კონცეფცია და შესაბამისი საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია;

2.1.2 დასაპროექტებელი ობიექტი: მრავალფუნქციური კომპლექსის (საცხოვრებელი, სავაჭრო, დასასვენებელი, რეკრეაციული და ინფრასტრუქტურის სხვა შესაბამისი ობიექტები);

3. მრავალფუნქციურ კომპლექსში გათვალისწინებული უნდა იყოს საცხოვრებელი ფართების (ბინები) მაქსიმალური ოდენობა. ამასთან, საცხოვრებელი კომპლექსის უნდა ითვალისწინებდეს მოქმედი სტანდარტებით გათვალისწინებულ ინფრასტრუქტურას, საპროექტო სიმჭიდროვის შესაბამისად;

3.3. შენობა-ნაგებობების არქიტექტურულ-კომპოზიციური გადაწყვეტა და კავშირი მიმდებარე გარემოსთან:

3.3.1 სატრანსპორტო გადაწყვეტა;

3.3.2. ტერიტორიასთან კავშირი განხორციელდეს არსებული და დასაპროექტებელი გზების გამოყენებით;

3.3.3 საპროექტო ტერიტორიის შიდა სატრანსპორტო ქსელი და მისი არსებული სატრანსპორტო სისტემასთან მიერთების სქემა სატრანსპორტო დატვირთვების ანგარიშის გათვალისწინებით;

3.3.4 სქემაში თითოეული მიწის ნაკვეთი უზრუნველყოფილი იქნეს მისასვლელი სამანქანო გზით;

4. სივრცითი მოცულობითი გადაწყვეტა:

4.1 სართულიანობა, განაშენიანების ტიპი;

4.2 არსებულ განაშენიანებასთან ინტეგრირება;

4.3 ბუფერული ზონები;

4.4 ალქმის წერტილები, დომინანტები, სილუეტი;

5. მოთხოვნები იმ ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებების დაცვაზე, რომელთა ინტერესებსაც ეხება ტერიტორიის სამშენებლო განვითარება.

6. დაცული იქნეს მიწის ნაკვეთის საზღვარზე (მიჯნაზე) სამშენებლო წესებისა და ნორმების მოთხოვნები. შენობების განთავსების ადგილები განისაზღვროს ზოგადი საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნების შესაბამისად, რომელიც წარმოდგენილი უნდა იყოს განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმებისას, ხოლო ინდივიდუალური მშენებლობის სტადიაზე წარმოდგენილი იქნეს შესაბამისი სამშენებლო ტერიტორიის გეოლოგიური დასკვნა.

7. საინჟინრო უზრუნველყოფის გეგმა:

7.1. გრგ-ს პროექტით განისაზღვროს სპეციალური ადგილები საკომუნიკაციო მომსახურების უზრუნველსაყოფად, საინჟინრო კომუნიკაციების არსებობის შემთხვევაში დაცული იქნეს მათთან მიერთების სამშენებლო ნორმები, ხოლო მათი გადატანის აუცილებლობის საკითხი შეთანხმდეს მის მფლობელთან.

7.2. ქალაქგეგმარებითი პარამეტრები განისაზღვროს გრგ-ს შესაბამისად;

7.3.. განაშენიანების სივრცითი-გეგმარებითი სახეობა განისაზღვროს გრგ-ს პროექტით;

7.4. განაშენიანების რეგულირების ხაზები (წითელი ხაზები) განისაზღვროს გრგ-ს პროექტით;

7.5. განაშენიანების სავალდებულო ხაზები (ლურჯი ხაზები) განისაზღვროს გრგ-ს პროექტით;

7.6. განაშენიანების მაქსიმალური სართულიანობა განისაზღვროს გრგ-ს პროექტით;

8. გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს სამშენებლო სამუშაოების ჩატარებისთვის საჭირო სრული და დეტალური, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მიწოდება. აღნიშნული დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს იმ სახით და მოცულობით, რომ შესაძლებელი იყოს მის საფუძველზე შესასრულებელი სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება მოქმედი კანონმდებლობის და გავრცელებული პრაქტიკის შესაბამისად.

9. სამუშაოების დაგეგმარების პრინციპი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში არსებულ სტანდარტებს.

10. განსახორციელებელ სახელმწიფო შესყიდვაზე მისაწოდებელი მომსახურების საწყისი სავარაუდო ღირებულება განსაზღვრულია **45 000.00 (ორმოცდახუთი ათასი) ლარის ოდენობით.**

11. საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის პირი იხდის ელექტრონულ კონკურსში მონაწილეობის **საფასურს 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.** საფასური გადაიხდება კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.procurement.gov.ge) მითითებულ ანგარიშზე:

მიმღების ბანკი	სს ბანკი „რესპუბლიკის“ ცენტრალური ფილიალი
ბანკის კოდი: REPLGE22	
მიმღები	სსიპ - „კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო“
მიმღების ანგარიშის №	GE52BR0000010591718543

12. საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

- გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
- შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
- კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
- საკონკურსო განცხადების კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

13. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს არ განიხილება. ამასთანავე, ამ განცხადების მე-11 ან მე-12 პუნქტების დარღვევით წარდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში პირის საკონკურსო წინადადება **დისკვალიფიცირებული იქნება.**

14. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.

15. საკონკურსო წინადადებით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტი და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი - შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ.

16. საკონკურსო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს დალუქული კონვერტით მისამართზე - ქალაქი თბილისი, თამარაშვილი ქ. №15ა, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს კანცელარია.

17. საკონკურსო წინადადების მიღება მთავრდება 2015 წლის 08 იანვარს 15:00 საათზე. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება.

18. ანგარიშსწორება განხორციელდება გაწეული მომსახურების შემდგომ, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

19. მომსახურების მიწოდება განხორციელდება შესაბამისი სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების სრულად გაწევის შემდეგ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე.

20. საკონკურსო წინადადება, რომლის ფასი აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას - **45 000.00 (ორმოცდახუთი ათასი) ლარს** არ განიხილება.

21. საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა **მოხდება 10-ქულიანი სისტემით, შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:**

21.1. სრული დაგეგმარების არქიტექტურული კონცეფცია: კოეფიციენტი – 0,4;

21.2. საკონკურსო წინადადების ფასი: კოეფიციენტი – 0,6.

23. კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრები ყველაზე მაღალ ჯამურ ქულას მიანიჭებენ. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.

24. საკონკურსო კომისიას შეუძლია მოახდინოს იმ საკონკურსო წინადადების დისკვალიფიცირება, რომლის კონცეფციაც მიუღებელი იქნება ესთეტიკური ან/და კონცეპტუალური თვალსაზრისით.

25. გამარჯვებულმა კონკურსანტმა საკონკურსო პირობებით გათვალისწინებული საბოლოო დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 55 (ორმოცდათხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში.

26. შემსყიდველი იტოვებს უფლებას, საჭიროების შემთხვევაში ცვლილებები შეიტანოს წინამდებარე საკონკურსო დოკუმენტაციაში.

27. გამარჯვებულმა კონკურსანტმა საბოლოო დოკუმენტაციის შედგენისას მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს შემსყიდველთან და გაითვალისწინოს მისი შენიშვნები და წინადადებები. გენერალური გეგმის შედგენის მიმდინარეობა შემსყიდველთან განხილული უნდა იქნეს არანაკლებ კვირაში ორჯერ მაინც.

28. გენერალური გეგმა და მის მიხედვით შედგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს როგორც წერილობით, ისე ელექტრონული ფორმით.

29. საკონკურსო კომისიას უფლება აქვს, ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზების გამო, აგრეთვე, საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე.

30. შემსყიდველი არ არის ვალდებული, აუნაზღაუროს კონკურსანტს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

31. კონკურსანტს დამატებითი განმარტებების მიღება შეუძლია შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი, თამარაშვილის ქ. №15ა, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო.

საკონტაქტო პირები - კონკურსის მიმდინარეობის საორგანიზაციო საკითხებზე მაიკო მიქაია, ტელ.: 2 31 15 80, ხოლო გენერალური გეგმის და მის მიხედვით შედგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დაგეგმარების არქიტექტურული კონცეფციის საკითხებზე - ნინო მენტეშაშვილი, ტელ: 551 30 25 25



საპროექტო დავალება

1. ქ. გორში, მოსკოვის ქუჩაზე არსებული 8 971.0 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი (საკადასტრო კოდი N 66.45.27.120) - დევნილთა გრძელვადიანი განსახლების ობიექტი), განაშენიანების გენერალური გეგმის და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მიწოდების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა;

1.1. კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს წინამდებარე საკონკურსო დოკუმენტაციის 2.1. პუნქტით განსაზღვრულ 8 971.0 მ² ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთების განაშენიანების გენერალური გეგმის არქიტექტურული კონცეფცია;

1.2 დასაპროექტებელი ობიექტი: მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსი (საცხოვრებელი, სავაჭრო, დასასვენებელი, რეკრეაციული და ინფრასტრუქტურის სხვა შესაბამისი ობიექტები);

20. კონკურსანტმა (კონკურსში მონაწილეობის მისაღებად) შემსყიდველის საკონკურსო კომისიის სახელზე (დალუქული კონვერტით) უნდა წარმოადგინოს:

20.1. ტერიტორიის განაშენიანების ესკიზური პროექტი;

20.2. საპროექტო შენობის ესკიზური პროექტები (კონსტრუქციული გადაწყვეტის განმარტებით) სამინისტროს პრიორიტეტების გათვალისწინებით. კერძოდ:

20.2.1. ერთოთახიანი ბინა - 25.0-40.0 მ²

20.2.2. ოროთახიანი ბინა - 45.0-60.0 მ²;

20.2.3. სამოთახიანი ბინა - 65.0-80.0 მ²;

20.3. მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, დასახლების გარე კომუნიკაციებთან მიერთების გათვალისწინებით;

20.4. გათვალისწინებული უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის ბინის მოწყობა (პანდუსი, სველი წერტილი).

20.5. 2 (ორი) ოთახიანი ბინების რაოდენობა უნდა შეადგენდეს საერთო მოცულობის არანაკლებ 50%-ს.

შენიშვნა:

კონცეფციის განხილვისას პირითად პრიორიტეტად ჩაითვლება მაქსიმალური განაშენიანების ინტენსივობა და საპროექტო საცხოვრებელი ფართი.

კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება ტერიტორიის განაშენიანების ესკიზური პროექტის გარდა უნდა შეიცავდეს:

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასს დღგ-ს ჩათვლით;

2.2. პირის რეკვიზიტებს (იურიდიული მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, პირადი ნომერი, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი, ტელეფონის ნომერი);

2.3. ინფორმაციას კონკურსანტის მიერ განხორციელებული ანალოგიური თემატიკის არქიტექტურული პროექტის შესახებ

2.4. დაგეგმარების თაობაზე შედგენილი განმარტებით ბარათს.

2.5. ინფორმაციას უფლებრივი ზონირების გეგმით მშენებლობისათვის გამოყოფილი ტერიტორიის დაგეგმვითი პარამეტრების კ1; კ2 და კ3 კოეფიციენტების შესახებ;

3. საპროექტო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს 2 (ორ) ეტაპად 55 (ორმოცდათუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში.

3.1. პირველი ეტაპი:

- 3.1.1 ადგილობრივი მმართველობის ორგანოების შესაბამის სამსახურებთან შეთანხმებული ტერიტორიის განაშენიანების პროექტი (განაშენიანების ინტენსივობა და საპროექტო საცხოვრებელი ფართები არ უნდა იყოს ნაკლები კონცეფციით წარმოდგენილზე).
- 3.1.2 საცხოვრებელი კორპუსების სრული არქიტექტურული პროექტი;
- 3.1.3 გეოლოგიური კვლევა
- 3.1.4 ვერტიკალური გეგმარებების პროექტები
- 3.1.5 გენგემა
- 3.1.6 მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი.

3.2. მეორე ეტაპი:

- 3.2.1. სრული კონსტრუქციული პროექტი.
- 3.2.2. ტერიტორიაზე ძალოვანი ელ.ქსელების პროექტი.
- 3.2.3. ტერიტორიაზე წყალმომარაგებისა და წყალარინების ქსელების პროექტი.
- 3.2.4. ტერიტორიაზე გაზიფიცირების ქსელების პროექტი.
- 3.2.5. კეთილმოწყობა.
- 3.2.6. მცირე არქიტექტურული ფორმები.
- 3.2.7. ტიპური საპროექტო შენობების კონსტრუქციული პროექტი.
- 3.2.8. ტიპური საპროექტო შენობების სანტექნიკური პროექტი.
- 3.2.9. ტიპური საპროექტო შენობების ელ.ტექნიკური პროექტი.
- 3.2.10. ტიპური საპროექტო შენობების გაზიფიცირების პროექტი.
- 3.2.11.სამშენებლო ხარჯთაღრიცხვა.
- 3.2.12.მშენებლობის კალენდარული გრაფიკი.

4. საპროექტო ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმის და საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავებისას წამოჭრილი საკითხების (მათ შორის, გარე კომუნიკაციების პროექტები) გასაწყვეტის ღონისძიებების შეთანხმება შესაბამის ორგანიზაციებთან, „შემსყიდველთან“ კოორდინირებულად (საჭიროების შემთხვევაში სამინისტროს მიერ შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობით).

5. სამუშაოების დაგეგმარების პრინციპი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში არსებულ სტანდარტებს.

6. საპროექტო ორგანიზაცია (მიმწოდებელი) უზრუნველყოფს ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმისა და საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავებისას წამოჭრილი საკითხების გადაწყვეტის ღონისძიებების შეთანხმებას შესაბამის ორგანიზაციებთან და შემსყიდველთან კოორდინირებულ რეჟიმში.

7. გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს ზემოაღნიშნული ობიექტის გენერალური გეგმით დადგენილი დოკუმენტაციის შედგენა-მოწოდება. აღნიშნული დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს იმ სახით და მოცულობით, რომ შესაძლებელი იყოს მის საფუძველზე შესასრულებელი სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება მოქმედი კანონმდებლობის და გავრცელებული პრაქტიკის შესაბამისად;

8. დაგეგმარებითი და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა უნდა განხორციელდეს ისე, რომ შესაბამისი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო ღირებულება არ აღემატებოდეს საქართველოში მოქმედი სტანდარტებით და ნორმატივებით განსაზღვრულ პარამეტრებს.

9. გამარჯვებული კონკურსანტი (მიმწოდებელი) ვალდებულია შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში განახორციელოს დაგეგმარებული სამუშაოების მიმდინარეობის მონიტორინგი მის მიერ შედგენილი და მიწოდებული, ობიექტის განაშენიანების გენერალური გეგმით დადგენილი, პარამეტრების შესაბამისად.

10. საკონკურსო წინადადების ფასში სრულად უნდა აისახოს კონკურსით გათვალისწინებულ მომსახურებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი, მათ შორის, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გადასახადები, მოსაკრებლები და გადასახდელები.

12. განაშენიანების გენერალური გეგმა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია მომზადებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმების და სტანდარტების შესაბამისად.

13. საკონკურსო წინადადების თანახმად წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ჩასატარებელი სამუშაოების შესრულების პროცესში აღმოჩენილი არქიტექტურული ან/და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო ხარვეზების გამოსწორებას, დამატებითი ანაზღაურების გარეშე, უზრუნველყოფს პროექტის ავტორი.

14. პროექტირების პერიოდში წინამდებარე საკონკურსო განცხადების ტექნიკური დავალებით გაუთვალისწინებელი სამუშაოების შესრულების საკითხი თანხმდება (წერილობით) შემსყიდველთან, შესაბამისი სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებით დადგენილი ღირებულების ფარგლებში.



სახელმწიფო შესყიდვის
ხელშეკრულება
N -----

ქ. თბილისი

--- ----- 2015 წ.

(პროექტისა და გეგმის მომზადების და ხარჯების გამოთვლის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა
„კონკურის“ (N -----) საშუალებით

ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ერთის მხრივ საქართველოს
ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა
სამინისტრო (შემდგომში – შემსყიდველი), წარმომადგენელი მინისტრის ----- სახით და -----
(შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმომადგენელი ----- სახით მეორეს მხრივ, (შემდგომში - მხარეები)
ვაფორმებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

წინამდებარე ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- 1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – „შემსყიდველისა“ და „მიმწოდებლის“ მიერ ხელმოწერილი წინამდებარე ხელშეკრულება, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტი.
- 1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს „შემსყიდველმა“ „მიმწოდებლის“ მიერ „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
- 1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.
- 1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
- 1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული „მომსახურების“ მიწოდებას.
- 1.6. „მომსახურება“ – „ხელშეკრულების“ მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.
- 1.7. „ინსპექტირება“ – „ხელშეკრულების“ პირობების შესრულების კონტროლი.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი.

- 2.1. ----- განაშენიანების გენერალური გეგმის და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მიწოდების მომსახურების შესყიდვა;
- 2.2. CPV 71242000 - „პროექტისა და გეგმის მომზადება, ხარჯების გამოთვლა“;

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება

- 3.1. „ხელშეკრულების ღირებულება“ შეადგენს ----- ლარს.
- 3.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ მოიცავს როგორც გასაწევი „მომსახურების“ ღირებულებას, ასევე „ხელშეკრულების“ შესრულებასთან დაკავშირებით „მიმწოდებლის“ მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

მუხლი 4. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

- 4.1. „მომსახურების“ გაწევის ადგილია: ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. N15ა.
- 4.2. „მომსახურების“ გაწევის ვადაა: -----.
- 4.3. მომსახურების მიწოდება ხორციელდება ორ ეტაპად. კერძოდ,
 - 4.3.1. პირველი ეტაპი: -----
 - 4.3.2. მეორე ეტაპი: -----

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

- 5.1. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს „მიმწოდებლის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.
- 5.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:
 - ა) უზრუნველყოს გაწეული „მომსახურების“ ღირებულების ანაზღაურება „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებულ ვადებში;
 - ბ) „მიმწოდებლისაგან“ „მომსახურების“ გაწევის ნებისმიერ ეტაპზე, შეამოწმოს „მომსახურების“ ხარისხის შესაბამისობა „ხელშეკრულებისა“ და დანართის პირობებთან.
- 5.3. „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია მოსთხოვოს „შემსყიდველს“ გაწეული „მომსახურების“ ღირებულების ანაზღაურება „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებულ ვადებში.
- 5.4. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:
 - ა) განახორციელოს „მომსახურება“ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, ხარისხიანად და სრულად;

ბ) შესაბამისი შეტყობინების შემთხვევაში, დროულად აღმოფხვრას გაწეული „მომსახურების“ შემოწმების შედეგად გამოვლენილი წუნი საკუთარი ხარჯებით;

გ) „მომსახურების“ მიწოდებისას აცნობოს „შემსყიდველს“ ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ.

მუხლი 6. გარანტია

6.1. „მიმწოდებელი“ იძლევა გარანტიას, რომ საკონკურსო პირობებით განსაზღვრული ტექნიკური დავალების მიხედვით მიწოდებული მომსახურება იქნება მაღალი ხარისხის და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი;

6.2. „მიმწოდებელი“ ვალდებულია შემსყიდველის „შემსყიდველის“ წერილობითი შეტყობინების საფუძველზე განსაზღვრულ ვადაში განახორციელოს უხარისხოდ შესრულებული მომსახურების ან მისი ნაწილის გამოსწორება, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;

მუხლი 7. ინსპექტირება

7.1. „შემსყიდველი“ ვალდებულია ჩაატაროს ინსპექტირება ნებისმიერ ეტაპზე, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირ(ებ)ს, ხოლო „მიმწოდებელი“ ვალდებულია ხელი შეუწყოს მას/მათ ინსპექტირების განხორციელების დროს.

7.2. ინსპექტირებას განახორციელებს სამინისტროს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი -----;

7.3. „შემსყიდველის“ შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია განახორციელოს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება ხარვეზი, „მიმწოდებელი“ ვალდებულია, „შემსყიდველის“ წერილობითი შეტყობინების საფუძველზე განსაზღვრულ ვადაში, გამოასწოროს აღნიშნული ხარვეზი.

მუხლი 8. მომსახურების მიღება-ჩაბარება

8.1. „მომსახურება“ მიღებულად ჩაითვლება მას შემდეგ, რაც მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლები ხელს მოაწერენ შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტს.

8.2. „შემსყიდველის“ მხრიდან ამ მუხლის 8.1. პუნქტში აღნიშნულ მიღება-ჩაბარების აქტს ხელს მოაწერს „ხელშეკრულების“ მე-7 მუხლის 7.2. პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილი პირ(ებ)ი.

მუხლი 9. ანგარიშსწორება

9.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში (ლარი),

9.2. ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით - ლარებში, „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით შემსყიდველისთვის გამოყოფილი ასიგნების ფარგლებში;

9.3. ანგარიშსწორება ხორციელდება ეტაპობრივად შესრულებული სამუშაოების მიხედვით, მხარეებს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის წარდგენიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 10. ფორს-მაჟორი

10.1. მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის, თუ შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით.

10.2. ფორს-მაჟორი ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობის გამო მხარისათვის ობიექტურად შეუძლებელი იყო „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება (სტიქიური მოვლენები, საომარი მოქმედება, ეპიდემია, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, სახელმწიფო გადატრიალება და სხვ.).

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში „ხელშეკრულების“ მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობისთანავე, შეტყობინების ყველა შესაძლო საშუალებით, უნდა გაუგზავნოს ინფორმაცია მეორე მხარეს, ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით, აგრძელებს „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებებისაგან.

მუხლი 11. მხარეთა პასუხისმგებლობა

11.1. „ხელშეკრულებით“ მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მათ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

11.2. „ხელშეკრულების“ მე-4 მუხლის 4.2 პუნქტით განსაზღვრული „მომსახურების“ მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, „მიმწოდებელს“ ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიუწოდებელი „მომსახურების“ ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

11.3. „ხელშეკრულების“ მე-6 მუხლის 6.2 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში, „მიმწოდებელს“ ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.5 %-ის ოდენობით.

11.4. „ხელშეკრულების“ მე-7 მუხლის 7.3. პუნქტით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში, „მიმწოდებელს“ ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

11.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.6. „მიწოდებელს“, „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დაეკისრება ჯარიმა „ხელშეკრულების ღირებულების“ 10 %-ის ოდენობით.

11.7. ----- სამსახურის მიერ პროექტის შეთანხმებლობა წინამდებარე ხელშეკრულების პირობებით დადგენის ვადებში არ ჩაეთვალება „მიწოდებელს“ პროექტის შესრულების და მიწოდების ვადების დარღვევად.

მუხლი 12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1. ნებისმიერი ცვლილება „ხელშეკრულებაში“ შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ წერილობითი ფორმით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

12.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა „ხელშეკრულების“ პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12.3. „ხელშეკრულების“ პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება „ხელშეკრულების“ პირობები „შემსყიდველისთვის“, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. „ხელშეკრულების“ პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, „ხელშეკრულების ღირებულების“ გაზრდა დაუშვებელია „ხელშეკრულების ღირებულების“ 10%-ზე მეტი ოდენობით.

მუხლი 13. დავების გადაწყვეტა

13.1. „ხელშეკრულების“ შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

13.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში მხარეები ვერ უზრუნველყოფენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს მიმართოს საქართველოს სასამართლოს დავის გადაწყვეტის მიზნით.

მუხლი 14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს „ხელშეკრულების“ მოქმედება, იმ შემთხვევაში, თუ „მიწოდებელი“ ვერ უზრუნველყოფს ვალდებულებების შესრულებას, ასევე მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

14.2. „ხელშეკრულების“ ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა, არ ათავისუფლებს „მიწოდებელს“ „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული სხვა ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.3. „ხელშეკრულება“ აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 „ხელშეკრულება“ ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერიდან და მოქმედებს 2015 წლის -----, გარდა მე-6 მუხლის 6.2. და მე-11 მუხლის 11.3. პუნქტებისა.

15.2. „ხელშეკრულების“ მე-6 მუხლის 6.2. და მე-11 მუხლის 11.3. პუნქტები ძალაშია „მომსახურების“ საგარანტიო პერიოდის განმავლობაში.

მუხლი 16. სხვა პირობები

16.1. „ხელშეკრულებით“ გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

16.2. „ხელშეკრულება“ შედგენილია ქართულ ენაზე, 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან 2 (ორი) ინახება „შემსყიდველთან“, ხოლო 1 (ერთი) - მიწოდებელთან.

16.3. „ხელშეკრულებასთან“ დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა უნდა განხორციელდეს ქართულ ენაზე.

მუხლი 17. მხარეთა იურიდიული რეკვიზიტები

შემსყიდველი:

მიწოდებელი:

<p>საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო</p> <p>ს. კოდი 200037646 მის: ქ. თბილისი თამარაშვილის 15ა ტელ: 2 31 15 80 სახელმწიფო ხაზინა ბ. კოდი 220101222 ა/ა 200122900 სახაზინო კოდი - 302009921</p> <p>მინისტრის პირველი მოადგილე</p>	
--	--